

ხელშეკრულება №81

/სახელმწიფო შესყიდვის შესახებ/

ქ. თბილისი

23 ივნისი 2015 წელი

ერთი მხრივ, შპს „სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კახაბერ მამალაძის სახით

საიდენტიფიკაციო კოდი: 204878542

მის: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. #9

საბანკო რეკვიზიტები:

ს/ს „საქართველოს ბანკი“-ს ც.ფ.

ბანკის კოდი: BAGAGE 22

ანგარიშის ნომ: GE17BG0000006245707000

და

მეორე მხრივ, შპს „საბა კონსტრაქშენი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან თარგამაძის სახით

საიდენტიფიკაციო კოდი: 440886098

მისამართი:

ქ. თბილისი, მარტვილის #2, ფაქტ. მიქელაძის #9

საბანკო ანგარიში:

ბანკი: -- სს „პაშა ბანკი საქართველო“

ბანკის კოდი: PAHAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში:

GE42PB1036050000415001

ხელმძღვანელობენ რა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 მარტის #527 განკარგულების და სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2015 წელს ქ. თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში ხელბურთის სპორტულ კომპლექსში წყლის სისტემის შეყვანის მომსახურების (შემდგომ ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებული როგორც „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა CPV - 65100000;

1.2 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დეტალები, რაოდენობა და ყველა საჭირო დახასიათება, თავისებურება, განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი №1-ით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: 90 803 (ოთხმოცდაათათასრვაასსამი) ლარი;
- 2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტისა და თანმდევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება ან/და თანმდევი მომსახურება დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით;
- 3.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ანგარიშსწორება მოახდინოს მხარეებს შორის შესყიდვის ობიექტისა და თანმდევი მომსახურების მიწოდებისთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;
- 3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
- 3.4 საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონით განსაზღვრული შესაბამისი გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება;
- 3.5 შესაბამისი გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მიმწოდებელს აუნაზრაურდება ავანსის სახით გარანტიით განსაზღვრული თანხის ოდენობა არაუგვიანეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და მიწოდების ვადები

- 4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2015 წლის 10 ივლისისა;
- 4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშფაქტურა, ინვოისი და ა.შ.);
- 4.3 შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება ერთწლიანი საგარანტიო პირობა, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის ვადაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის დაზიანება აღმოფხვრას შემსყიდველის შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი

- 5.1 მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება, მას შემდეგ, რაც მომსახურების მიწოდების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებელი (საკუთარი ხარჯებით) წარმოადგენს „ლევან სამხარეულის სახელობის

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემულ შესაბამის დასკვნას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები შესაბამისობაშია სახელშეკრულებო პირობებთან, აღნიშნული დასკვნისმწარმოდგენა სავალდებულოა სამუშაოთა მიწოდების საბოლოო თარიღიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც მხარეთა შორის საბოლოო მიღება ჩაბარების აქტი;

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი ლევან ტარყაშვილი;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

6.2 არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება, იმ შემთხვევაში თუ სახეზე არ არის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

შემსყიდველი ვალდებულია:

6.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ასევე დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

6.4 თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს მიმწოდებელს ვალდებულების შესრულებაში.

მიმწოდებელი ვალდებულია:

6.5 მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და ზედმიწევნით დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა.

6.6 გადასცეს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებაში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი რომელიც შემსყიდველს მიეწოდება ხელშეკრულების შესაბამისად.

6.7 იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ან შეფერხდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებისა და მისი დანართ(ებ)ით განსაზღვრული სპეციფიკის, ტექნიკური მონაცემებისა თუ რაოდენობით მიწოდების შემთხვევაში, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები ხელშეკრულებაში ან/და მის დანართში, გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

მიმწოდებელი უფლება აქვს:

6.8 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.9 დადოს ხელშეკრულება/ხელშეკრულებები ქვეკონტრაქტორებთან, შრომითი ან სხვა სახის ხელშეკრულებები თავისი სახელით, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ინსპექტირებას ახორციელებს შპს „სპორტმშენსერვისი“-ს მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი ლევან კილაძე;

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ხარისხის კონტროლს;

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შესაბამისი ეტაპით განსაზღვრული ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით;

12.2 ხელშეკრულება დადებულია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად საიდანაც ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ, ხოლო მეორე მიმწოდებელ ორგანიზაციას.

მხარეთა რეკვიზიტები


შ.პ.ს „სპორტმშენსერვისი“

შპს „საბა კონსტრაქშენი“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:
კ.მამალაძე

დირექტორი:
ლ. თარგამაძე







ოლიმპიური ობიექტი უნივერსიტეტის ქუჩაზე
ნაკვეთი № 01.14.06.006.031
წყალმომარაგება

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა № 1

საფუძველი: სამუშაოთა მოცულობების უწყისი
შედგენილია: 2015 წ. II კვარტლის დონეზე და საბაზრო
ფასებით

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

№ 01.14.06.006.031 ლარი

№№	ღირებულება	კატეგორია	ფა	5	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და მექანიზმები		ჯამი
					ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	27-9-7	ბორდიურების აყრა და აღდგენა	მ	2,00	4,84	9,68	7,01	14,02	0,03	0,06	23,76
2	27-9-4	ასფალტის საფარის აყრა სისქით 7 სმ	გ ³	10,78		0,00	7,40	79,77	10,20	109,96	189,73
3	საფ. №3, გვ.6, პ.29	სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ავტოთვიმცლულზე და გატანა 5 კმ მანძილზე	ტ	0,00		0,00	2,92	0,00	3,36	0,00	0,00
4	27-7-2	ქვიშა-ბრუნველი საფუძვლის მოწყობა ასფალტობეტონის საფარის ქვეშ, სისქით 15 სმ	გ ³	23,10	12,00	277,20	0,69	15,94	0,78	18,02	311,16
5	27-11-1	ლორდის საფუძვლის მოწყობა ასფალტობეტონის საფარის ქვეშ, სისქით 15 სმ	გ ³	23,10	20,00	462,00	0,69	15,94	0,78	18,02	495,96
6	27-39-1,2 27-40-1,2	ასფალტის საფარის აღდგენა სისქით 10 სმ (6+4)	გ ²	154,00	43,00	6622,00	3,00	462,00	8,00	1232,00	8316,00
7	1-11-17	თბილისის დამუშავება V კვუფის ყამირში ექსკავატორით-კოდალით აღვილზე დაყრით	გ ³	360,00		0,00	5,00	1800,00	12,00	4320,00	6120,00
8	1-11-16	თბილისის დამუშავება IV კვუფის ყამირში ექსკავატორით აღვილზე დაყრით	გ ³	360,00		0,00	4,00	1440,00	8,75	3150,00	4590,00
9	1-11-11	თბილისის დამუშავება V კვუფის ყამირში პნევმოჩაქურებით	გ ³	10,00		0,00	10,00	100,00	12,00	120,00	220,00
10	1-11-10	თბილისის დამუშავება IV კვუფის ყამირში პნევმოჩაქურებით	გ ³	10,00		0,00	8,00	80,00	8,75	87,50	167,50
11	23-1-1	ქვიშის საფუძვლის მოწყობა	გ ³	184,00	26,00	4784,00	8,28	1523,52		0,00	6307,52

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
12	1-31-6 1-118-11	თხრილის შევსება ადგილობრივი ყამირით მექანიზმებით, დატყეპნით	გ ³	469,00		0,00	0,61	286,09	2,00	938,00	1224,09
13	1-31-5 1-118-11	თხრილის შევსება ბალასტით მექანიზმებით, დატყეპნით	გ ³	78,00	20,00	1560,00	0,51	39,78	2,00	156,00	1755,78
14	1-22-14 13.კ.5	ზედმეტი ყამირის დატვირთვა ექსკავატორით ავტოთიმიკლებზე და გატანა 5 კმ მანძილზე	გ ³	271,00		0,00	0,43	116,53	6,63	1797,00	1913,53
15	22-20-8	Ø160 მმ პოლიეთილენის მილგების PN- 12.5; PE 100 ჩაწობა თხრილში გამოცდით	გ.მ.	242,00	30,70	7429,40	5,00	1210,00	0,45	108,90	8748,30
16	22-20-8	Ø160 მმ წყალსადენის მილის გამორეცხვა დეზინფექციით	გ.მ.	100,00	1,36	136,00	0,50	50,00		0,00	186,00
17	22-20-6	Ø110 მმ პოლიეთილენის მილგების PN- 12.5; PE 100 ჩაწობა თხრილში პოლიეთილენის სამკაპი Ø=160X110 მმ	გ.მ.	525,00	17,00	8925,00	5,00	2625,00	0,45	236,25	11786,25
18		პოლიეთილენის სამკაპი Ø=160X110 მმ	ც	2	63,40	126,80		0,00		0,00	126,80
19		პოლიეთილენის სამკაპი Ø=110X75 მმ	ც	4	51,80	207,20		0,00		0,00	207,20
20		პოლიეთილენის შუბლი Ø=110 მმ	ც	8	46,50	372,00		0,00		0,00	372,00
21		მრიცხველი Ø=100 მმ	ც	1	300,00	300,00	30,00	30,00		0,00	330,00
22	22-24-3	ურდული Ø=100 მმ	ც	3	87,82	263,46	20,00	60,00	0,19	0,57	324,03
23	22-5-3	Ø100/5.5 მმ ფოლადის მილი უნაგერო	გ.მ.	2,00	23,02	46,04	2,43	4,86	0,36	0,72	51,62
24		მილტუჩი Ø=100 მმ	ც	6	21,40	128,40		0,00		0,00	128,40

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
25		წყლის ფილტრი $\varnothing=100$ მმ	ც	1	600,00	600,00		0,00		0,00	600,00
26	22-24-10	ურდული $\varnothing=150$ მმ	ც	1	200,00	200,00	20,00	20,00	5,60	5,60	225,60
27		სამონტაჟო კომპენსატორი $\varnothing=150$ მმ	ც	1	200,00	200,00	20,00	20,00	5,60	5,60	225,60
28		ადაპტორი $\varnothing=110$ მმ	ც	4	95,00	380,00		0,00		0,00	380,00
29		ადაპტორი $\varnothing=160$ მმ	ც	3	170,00	510,00		0,00		0,00	510,00
30		მილტუჩი $\varnothing=100$ მმ	ც	4	21,40	85,60		0,00		0,00	85,60
31		მილტუჩი $\varnothing=150$ მმ	ც	6	61,00	366,00		0,00		0,00	366,00
32	22-5-4 22-11-4	$\varnothing150 \times 5$ მმ ფოლადის მილი გაძლიერებული იზოლაციით	გ.მ.	2,00	72,30	144,60	2,56	5,12	1,54	3,08	152,80
33		სახანძრო ჰიდრანტი $d=75$ მმ "თბილისის ტიპის" მოწყობა კოვერში	კოქკ	4,00	503,62	2014,48	108,00	432,00	10,00	40,00	2486,48
34	22-30-1	$D=1,02$ რკინაბეტონის ჭების მოწყობა ძირის ფილით, გადახურვით, ყინვაგამძლე ბეტონისაგან (1 კის მოცულობა $1,5$ მ ³)	ც	1	807,00	807,00	50,00	50,00	22,85	22,85	879,85
35	6-26-2	მქლე ბეტონის მომზადება B7.5	გ ³	0,94	118,17	111,08	4,30	4,04	6,00	5,64	120,76
36	6-26-6	კამერის ბეტონის საბირკველი და არმატურა	გ ³	5,78	220,00	1271,60	50,00	289,00	20,00	115,60	1676,20
37		არმატურა	ტ.მ.	0,10	1185,00	123,24	200,00	20,80	6,65	0,69	144,73
38		რკინაბეტონის გადახურვა	გ ³	1,50	220,00	330,00	50,00	75,00	20,00	30,00	435,00
39		არმატურა	ტ.მ.	0,16	1185,00	189,60	200,00	32,00	10,00	1,60	223,20
40	22-23	თუჯის ჩარჩო ხუფი	ც	2,00	218,00	436,00	12,00	24,00	10,00	20,00	480,00
		სულ	ლარი			39418		10925		12544	62887
		ზედნადები ხარკები 10%	ლარი	0,10		3942		1093		1254	6289
		სულ	ლარი			43360		12018		13798	69176
		გემშიური დაგროვება 8%	ლარი	0,08		3469		961		1104	5534
		სულ	ლარი			46829		12979		14902	74710
		გაუფავალისწინებელი ხარკები 3%	ლარი	0,03		1405		389		447	2241
		სულ	ლარი			48234		13369		15349	76952
		დღე 18%	ლარი	0,18		8682		2406		2763	13851
		სულ	ლარი			56916		15775		18112	90803

შ.პ.ს "საბა კონსტრუქციები"

შ.პ.ს "სპორტმშენსერვისი"

დირექტორი: ლევან თარგამაძე

დირექტორის მოვალეობას შემსრ.: ვახანგო მამალაძე



Handwritten signature in blue ink.

